საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გავლენის შესწავლა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, ევროპის საინვესტიციო ბანკის მაგალითზე

მარიამ ილურიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2024

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო კვლევის მეთოდების (იანვარი,2024) კურსებზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (იანვარი, 2024) “.

მარიამ ილურიძე

აბსტრაქტი

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განვითარებადი ქვეყნების, ისეთის როგორიც საქართველოა, ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერაში. ისინი ქვეყნებს აწვდიან როგორც ფინანსურ რესურსებს ასევე პოლიტიკურ რჩევებს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ეს დაფინანსებები ხშირად მიმართულია ინფრასტრუქტურის ასაშენებლად, როგორიცაა გზები, ხიდები, რაც აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობისთვის. გარდა ამისა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მხარს უჭერენ განათლებისა და ჯანდაცვის სექტორებს, რაც ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ეს კი ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელია. საქართველომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა დაიწყო 90-იანი წლებიდან, რაც განპირობებული იყო ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, კონკრეტულად ევროპის საინვესტიციო ბანკის გავლენის შეფასება საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვლევი მიზნის მისაღწევად შეირჩა რაოდენობრივი მეთოდი. ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ კი რეგრესიის ანალიზი. ანალიზის ჩატარების და შედეგების გაანალიზების შემდეგ არ გამოვლინდა ძლიერი და სანდო კავშირი ევროპის საინვესტიციო ბანკსა და საქართველოს ეკონომიკურ ზრდას შორის.

Abstract

International financial institutions play a significant role in supporting the economic development of developing countries such as Georgia. They provide countries with both financial resources and policy advice to achieve sustainable economic growth. These funds are often used to build infrastructure such as roads and bridges that are necessary for economic activity. In addition, international financial institutions support the education and health sectors, which contribute to the development of human capital, which is a key driver of economic growth. Georgia started cooperation with international financial institutions in the 90s, which was due to the country's crisis situation.

The purpose of the study is to evaluate the influence of international financial institutions, specifically the European Investment Bank, on the economic development of Georgia.

A quantitative method was chosen to achieve the research objective. Quantitative research was carried out, namely regression analysis. After conducting the analysis and analyzing the results, no strong and reliable relationship between the European Investment Bank and the economic growth of Georgia was revealed.

მადლობა

მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ სალომე დანელიას, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია ნაშრომის მუშაობის პროცესში.